2015 წლის ანგარიში

2015 წელი

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულია 129 საჯარო მოსამსახურე (მათ შორის 59 ქალბატონი და 70 მამაკაცი). ქალაქის მერიაში არსებული 10 სტრუქტურული ერთეულიდან 4 სამსახურს ქალბატონები ხელმძღვანელობენ.

2015 წელს მერიაში დასაქმებულმა საჯარო მოხელეებმა თემატიკისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი 50 სხვადასხვა თემატური ტრენინგი გაიარეს.

ქალაქ ზუგიდის მუნიციპალიტეტის მერია გამოირჩევა გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით, ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2015 წელს ქალაქის მერიაში საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით შემოსული არცერთი განცხადება არ დარჩენილა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში რეაგირების გარეშე. გასულ წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებულია და გაცემულია 92 საჯარო ინფორმაცია.

ქალაქის მერიამ 2015 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე არაერთ სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებასთან, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან გააფორმა 25 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, 2015 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 11 ა(ა)იპ-ში, 1 შპს-ში და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 8 სტრუქტურულ ერთეულში ჩატარდა გეგმიური ფინანსური და შესაბამისობის აუდიტები. სულ შედგენილია 20 აუდიტორული შემოწმების ანგარიში და 4 ინსპექტირების დასკვნა. აუდიტის ობიექტებისათვის შესასრულებლად გაცემულია 116 რეკომენდაცია. აქედან, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა აუდიტის 18 ობიექტში.

ქალაქ ზუგდიდში სავალდებულო სამხედრო სამსახურში აღრიცხვაზე იმყოფება 2 000-მდე წვევამდელი და 7 000-მდე რეზერვისტი. 2015 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულია 54 წვევამდელი.

2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანმა შემოსავლებმა შეადგინა 22,1 მილიონი ლარი, რაც 2014 წლის მონაცემებს 4 მილიონ 556 ათასი ლარით აღემატება. ბიუჯეტის საკუთარმა შემოსავლებმა, პროგნოზით გათვალისწინებული 16 მილიონ 147 ათასი ლარის ნაცვლად, 16 მილიონ 638 ათასი ლარი შეადგინა. აქედან გამომდინარე, ეს მაჩვენებელი გაიზარდა 491 000 ლარით. არაფინანსური აქტივების კლების (ქონების პრივატიზაცია) ფინანსურმა პარამეტრმა 820 ათასი ლარი შეადგინა და შემოსავლის ამ სახეობამ თითქმის ორჯერ გადააჭარბა პროგნოზით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

ქალაქის მუნიციპალიტეტის პოზიტიურმა საფინანსო-საბიუჯეტო შედეგებმა განაპირობა, ის რომ შეუფერხებლად და სრულად იქნა დაფინანსებული 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული მოსახლეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ასევე კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდული საქმეების, თეატრალური ხელოვნების, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სფეროს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის გეგმიური ხარჯები ყველა პარამეტრის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელი გამორჩეული იყო მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა და ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. ინფრასტრუქტურის სფეროში მსხვილი და საშუალო მოცულობის კაპიტალური პროექტების განხორციელებას სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით მოხმარდა 6 861 466 ლარი. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2015 წლის მეორე ნახევარში ინფრასტრუქტურის კაპიტალური პროექტების განხორციელებისათვის დაიხარჯა 3 მილიონ 400 ათას ლარზე მეტი საბიუჯეტო თანხა, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს სამჯერ აღემატება (შედარებისას იგულისხმება 2014 წლის ივლისის თვეში ქალაქ ზუგდიდის თვითმმართველი ერთეულის შექმნიდან, ამავე წლის ბოლომდე დარჩენილი ექვსთვიანი პერიოდი).

ყველა ძირითადი პარამეტრის მიხედვით, გასულ წელს მიღწეული შედეგები იძლევა საფუძველს, 2015 საფინანსო წელი შეფასდეს როგორც წარმატებული.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და დევნილთა სამსახური

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში 2015 წელს განხორციელდა 14 პროექტი, რისთვისაც გაიხარჯა 965 000 ლარი.

ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში, მეორე მსოფლიო ომში მონაწილე 6 ადგილობრივი ვეტერანი, ყოველთვიურად, პენსიაზე დანამატის სახით, 150 ლარის ოდენობით დახმარებას იღებდა. ვეტერანთა ზუგდიდის კავშირს ყოველთვიურად ერიცხებოდა თანხა 1306 ლარის ოდენობით (თორმეტი თვის განმავლობაში, სულ: 15 672 ლ). 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის 22 ვეტერანს (მათ შორის 6 ვეტერანებთან გათანაბრებულ პირს), საჩუქრად 300 ლარი გადაეცა. ომის გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახებს (ასეთი 2015 წელს 5 ოჯახი იყო), 300 ლარის ოდენობის ერთჯერადი ფულადი დახმარება ჩაერიცხა. ამ პროგრამებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 30 000 ლარი. 2015 წლის განმავლობაში გაიხარჯა 31 160 ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს 47 მრავალშვილიან ოჯახს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10 900 ლარი გადაერიცხა. აღნიშნული თანხები მოხმარდა სოციალურად დაუველ ახალშობილთა 5 ოჯახს. მათ შორის 3 ოჯახს 500 ლარი ტყუპის შეძენისას, ხოლო 2 უმწეო ოჯახს 200 ლარი მეორე შვილის შეძენისას ჩაერიცხა (სულ 1900 ლ). 18 მარტოხელა დედას 200 ლარი გადაერიცხა (სულ 3600 ლ) . დედ-მამით ობოლ 8 ბავშვს 200 ლარის ოდენობის ერთჯერადი დახმარება გამოეყო (სულ 1600 ლარი). ამ პროგრამებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2015 წელს 40 000 ლარი იყო გამოყოფილი, გახარჯულია 18 000 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის

პროგრამის ფარგლებში, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 356 პირისა და ონკოლოგიური ავადმყოფისათვის, მათ შორის, 40 ავადმყოფი ბავშვის დახმარებისათვის, ერთჯერადად გაიცა ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. ამ პროგრამისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში 2015 წელს 40 000 ლარი იყო გათვალისწინებული. თუმცა, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ქალაქის ბიუჯეტიდან 71 200 ლარი გაიხარჯა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების, შშმ პირთა ცხოვრების და ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება-თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს დაფინანსებულია 5 სხვადასხვა პროექტი. ბიუჯეტის ოდენობამ ჯამში 23 889 ლარი შეადგინა .

მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის მიმართულებით არსებული პროგრამის ფარგლებში, ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალებისას, 18 წლამდე ასაკის 163-მმა მოქალაქემ მიიღო 200 ლარის ოდენობის ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბიუჯეტიდან ამ პროგრამით გამოყოფილი თანხა 25 000 ლარს შეადგენდა. გაიხარჯა 32 600 ლარი (7 600 ლარის მობილიზება მოხდა სხვა პროგრამებიდან).

ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამით, 100 წელს გადაცილებულმა ოთხმა მოქალაქემ 500 ლარის ოდენობის ერთჯერადი ფულადი დახმარება მიიღო. ამ პროექტით ბიუჯეტში გათვალისწინებული 3 000 ლარიდან 2 000 ლარი გაიხარჯა.

სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამიდან, საახალწლო და სააღდგომო საჩუქრები, საკვები პროდუქტის სახით, უფასო სასადილოსა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარების 300-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო. აღნიშნული პროგრამებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2015 წელს გამოყოფილი იყო 40 000 ლარი. გახარჯულია 36 706 ლარი.

2015 წელს ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ 19 მოქალაქეს, 50 ლარის ოდენობით, ტრანსპორტირების ხარჯები აუნაზღაურდა. აღნიშნული საქმიანობისათვის 49 000 ლარი იყო გამოყოფილი. გახარჯულია 12 316 ლარი.

უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვის პროგრამიდან, ხანძრისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 11 ოჯახს 300 დან 1000 ლარამდე ფულადი დახმარება გაეწია. (სულ 7 400 ლ).უსახლკაროდ დარჩენილ სოციალურად დაუცველ 69 ოჯახს (ეს ციფრი ცვალებადია) ბინის ქირავნობის თანხა გადაერიცხა. თითოეულს, ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 90 000 ლარი. გახარჯულია 84 700 ლარი.

დევნილთა მხარდაჭერის პროგრამიდან, გარდაცვლილი დევნილის ოჯახის სარიტუალო ხარჯები, 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 200 ლარით ფინანსდებოდა. ამ პროგრამიდან დაფინანსდა 70 დევნილი ოჯახი. ბიუჯეტში, ამ პროგრამისთვის 7 000 ლარი იყო გამოყოფილი. აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, გაიხარჯა 14 000 ლარი (თანხის მობილიზება მოხდა სხვა პროგრამებიდან).

სოციალური საცხოვრისის 14 ბენეფიციარს (თითოეულ მათგანს) კომუნალური ხარჯებისათვის

ზამთრის პერიოდში, ყოველთვიურად, ერიცხებოდა თანხა 100 ლარის ოდენობით. ბენეფიციართა კომუნალურ გადასახადებზე გაიხარჯა 4 200 ლარი. 2015 წელს დასრულდა სოციალური საცხოვრისის გაზიფიკაცია. ამ პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 25 000 ლარი. გაზიფიკაციის სამუშაოების ღირებულებამ 11 66,54 ლარი შეადგინა.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის (უფასო სასადილო) პროგრამის ფარგლებში, რაც სოციალურად დაუცველი 230 მოქალაქის სადილით ყოველდღიურ უზრუნველყოფას ითვალისწინებს, გახარჯულია 104 399,50 ლარი. ბიუჯეტით, ამ პროგრამისათვის გამოყოფილი თანხა 110 000 ლარს შეადგენს.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის განყოფილებაში 2015 წელს, იანვრიდან დეკემბრამდე, ჯანდაცვის კომისიის 58 სხდომა ჩატარდა. დაფინანსდა 1 781 მოქალაქის სამედიცინო მომსახურება. დაფინანსების საერთო ღირებულებამ 700 291,58 ლარი შეადგინა. ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება მიიღო 659 მოქალაქემ. ამ პროგრამით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 233 821,19 ლარი გაიხარჯა. გამოკვლევა დაუფინანსდა 115 მოქალაქეს, აღნიშნულ პროგრამას, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 32 265,30 ლარი მოხმარდა. ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამით 269 მოქალაქემ ისარგებლა. ბიუჯეტის დაფინანსებამ 189 551,13 ლარი შეადგინა. C ჰეპატიტის დიაგნოტიკის თანადაფინანსების პროგრამით 714-მა მოქალაქემ ისარგებლა და დაფინანსებული თანხის საერთო ოდენობამ 228 582,01 ლარი შეადგინა. ბავშვთა ცერემბრალური დამბლისა და აუტიზმის დიაგნოზის მქონე 20 მოქალაქეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 19 387,00 ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო მკურნალობა დაუფინანსდა. აღნიშნული პროგრამებიდან გამოყოფილი იყო 300 000 ლარი, თუმცა, მოქალაქეთა მომართვიანობისა და აუცილებელი საჭიროებების გათვალისწინებით, კომისიური განხილვების შედეგად, დაფინანსდა 700 291,58 ლარის მომსახურება. (მ/შ სამედიცინო დაწესებულებებს უკვე ჩაერიცხა 406 042,88 ლარი).

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ,,ამიერკავკასიის ექიმთა ლიგამ", 2015 წელს წელს, სამჯერ გამართა კონფერენცია ქალაქ ზუგდიდში მომუშავე მედიკოსებისათვის და ასევე სამჯერ განახორციელა მოქალაქეების უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმება. აღნიშნული მომსახურებით ქალაქ ზუგდიდში მცხოვრებმა ადგილობრივმა, დევნილმა და მოწყვლადი ჯგუფების 200-მდე წარმომადგენელმა ისარგებლა.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური

2015 წელს მერიის საზედამხედველო სფეროში გატარებულია რიგი ღონისძიებები, კერძოდ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 320 ოქმი, დაკისრებული სანქციების შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი შეივსო 13 000 ლარით. გარდა ამისა, განხორციელდა სადეზინფექციო და გარემოსდაცვითი ღონისძიებები - ლიკვიდირებულ იქნა ქიმიური ნივთიერების გაჟონვის შედეგად გარემოს დაბინძურების, ქვეწარმავლებისა და მღრღნელების გავრცელების საშიში კერები.

დამუშავდა 42 ჰა ფართობი. აღნიშნული სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 15 000 ლარი. ბოტანიკური ბაღისა და ცენტრალური ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა კოლხური ბზის ნარგაობების მავნებლის, კერძოდ კი ბზის ალურის წინააღმდეგ ბიოპრეპარატით შეწამვლითი სამუშაოები. აღნიშნული, სოლიდური ღირებულების

პრეპარატი, მერიას სრულიად უსასყიდლოდ გადასცა აფხაზეთში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციამ, რაც სახალხო დიპლომატიის წარმატებული მაგალითია.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო 519 000 ლარი.

კულტურის განყოფილების ბიუჯეტი 279 000 ლარს შეადგენდა. ქალაქის ტერიტორიაზე 2015 წელს მერიის ინიციატივითა და ჩართულობით ჩატარდა კულტურული სახის 35 ღონისძიება, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 36 636,98 ლარის მოცულობის ასიგნებები გაიცა. საახალწლო და საშობაო ღონისძიებებში დაიხარჯა 37 594 ლარი. ახალგაზრდული პროექტებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 50 000 ლარი. განხორციელდა 33 ახალგაზრდული პროექტი. პროექტების საერთო საბიუჯეტო თანხამ 22 254,25 ლარი შეადგინა. სპორტული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა 20 000 ლარს შეადგენდა. ჩატარდა 22 სპორტული ღონისძიება, რომელიც დაფინანსდა 17 209,84 ლარით.

ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების განყოფილებას გასულ წელს გამოეყო 50 000 ლარი. ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: დაიდგა იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი (გაიხარჯა 20 031 ლარი), ჩატარდა ტრენინგი სკაუტინგის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით (გაიხარჯა 1 600 ლარი), პილიგრიმული ტურიზმის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, გამოიცა ბროშურა ვლაქერნობის დღესასწაულთან დაკავშირებით (გაიხარჯა 4 000 ლარი), მოეწყო კოლხური ყოფის ამსახველი ფოტოგამოფენა (გაიხარჯა 4 000 ლარი), გამოიცა საინფორმაციო ბუკლეტი ,, ქალაქ ზუგდიდის ტურისტული რუქა“ (გაიხარჯა 2 000 ლარი). ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით, საერთო ჯამში გაიხარჯა 32 131 ლარი.

2015 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ქვეყნის ტურისტულად მიმზიდველ14 ქალაქსა და დაბაში, მათ შორის ზუგდიდში განახორციელა ტურისტებისათვის საინტერესო ობიექტების მიმართულების მანიშნებლების მონტაჟი. ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით შერჩეულ იქნა ობიექტების ჩამონათვალი და მანიშნებლების განთავსების ადგილები. ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე მსგავსი ნიშნული 14 ადგილას განთავსდა.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უზრუნველყო ხუთი ტურისტული ბანერის, ე.წ. ,, LIGHT BOX”-ის კონსტრუქციის დამზადება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით მოხდა ტურისტული რუკის შესყიდვა, ქალაქის ტერიტორიაზე შესაბამისი ადგილების გამოყოფა, ტურისტული ბანერების დამონტაჟება და უწყვეტი ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველყოფა. ტურისტულ ბანერებზე განთავსებულია ინფორმაცია ქალაქ ზუგდიდის ქუჩების, ღირშესანიშნაობების და ზუგდიდთან ახლომდებარე ტურისტული ობიექტების შესახებ. ბანერები სამენოვანია და შეიცავს ინფორმაციას ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ბანერების განთავსების ადგილებია:

- ქალაქის შემოსასვლელი.

- ზვიად გამსახურდიას ქუჩა (,,კრისტალ ბანკის“ მიმდებარე ტერიტორია).
- იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორია.
- რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია.
- მარჯვენა სანაპიროს ქუჩა (ე.წ. სვანურ კოშკთან).

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 90 000 ლარის სამუშაოების განხორციელება. გახარჯულია 65 240, 93 ლარი, კერძოდ:

1. N1 საჯარო სკოლა (ორი საკლასო ოთახის რეაბილიტაცია) 4964,08 ლარი.
2. N2 საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის გადახურვა და სკოლის ღობის რეაბილიტაცია) 4236,40 ლარი.
3. N5 საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის იატაკის რეაბილიტაცია) 7991 ლარი.
4. N6 საჯარო სკოლა (სკოლის ეზოს შემოღობვა) 7513,74 ლარი.
5. N11 საჯარო სკოლა (საკლასო ოთახების და ეზოს კეთილმოწყობა) 4996 ლარი.
6. აფხაზეთის N12 საჯარო სკოლა (სველი წერტილების რეაბილიტაცია) 2100 ლარი.
7. N9 საჯარო სკოლა (4 საკლასო ოთახის რეაბილიტაცია) 12776,04 ლარი.
8. № 3საჯარო სკოლა (საპირფარეშოს რეაბილიტაცია) 11 521 ლარი).
9. №7 საჯარი სკოლა (საკლასო ოთახის რეაბილიტაცია) 4307,67 ლარი.
10. № 12 საჯარო სკოლა (საკლასო ოთახის რეაბილიტაცია) 4835 ლარი.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 30 000 ლარი. 2015 წელს გახარჯულია 24041,35 ლარი. დაფინანსდა 24 ნიჭიერი მოსწავლე და ახალგაზრდა და ანსამბლ ,,ეზი“-ს 26 წევრი.

სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახური

სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშნებელობის ზედამხედველობის ფარგლებში მერიაში 2015 წელს მშენებლობის ნებართვისა და ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით შემოვიდა 647 განცხადება და სხვადასხვა შინაარსის წერილი. მშენებლობის ნებართვები გაცემულია 211 ობიექტზე. შეთანხმებულია 23 ობიექტი. მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებულია 5 ობიექტზე. მშენებლობის ნებართვების გაცემიდან შემოსულმა მოსაკრებელმა წლის განმავლობაში, 46519,55 ლარი შეადგინა.

გასულ წელს ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების რაოდენობა 58-ს შეადგენს. ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში შემოწმებულია 500–მდე ობიექტი, მიწერილობა გაგზავნილია 170 ობიექტზე, მითითების შედეგად დარღვევები გამოსწორდა 149 ობიექტზე. ცნობა-უწყება გაგზავნილია 23 ობიექტზე. აღნიშნული დარღვევებიდან 20 შემთხვევაში ობიექტის მეპატრონე დაჯარიმებულია. 3 შემთხვევაში ობიექტის მეპატრონეს,სამართალდარღვევის გამოსასწორებლად, კანონით დადგენილი ვადა მიეცა. ჯარიმებიდან შემოსული თანხამ, 2015 წელს, 37 500 ლარი შეადგინა. დანარჩენს, კანონის ფარგლებში, მიეცა ვადა სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემულ ყველა ნებართვაში გათავლისწინებული არის და იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები და მოთხოვნები (კერძოდ, პანდუსების მოწყობა საკომუნიკაციო კვანძებზე). პროექტში ამ პუნქტს დიდი ყურადღება ექცევა. პანდუსები მოწყობილია ცენტრალური ქუჩების გადასასვლელებზე. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა შშმ პირთათვის საჯარო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, პირველ რიგში, სახელმწიფო ადმინისტრაციული შენობებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების, შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის შეღწევადობის უზრუნველყოფაზე. კანონის თანახმად, დასამტკიცებლად შემოსულ პროექტებს, აღნიშნული საკითხის გათვალისწინების მითითება ეძლევა სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებელობის ზედამხედველობის სახელმწიფოსა და ინვესტორებისგან დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტებში.

2015 წელს მომზადდა მერიის ლოგოს, ქალაქის გერბის, ქალაქის ლოგოს ესკიზური პროექტები. შეირჩა ქალაქის მოსაცდელების ადგილები და დამზადდა ესკიზი. მომზადდა ადმინისტრაციული შენობების პანდუსების, ქალაქის ტროტუარების,საინფორმაციო დაფის მცირე არქიტექტურული ფორმის ესკიზური პროექტები.

დენდროლოგიური მიმართულებით, ქალაქის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწვანე აქტიური ზონების გაჩენას, არსებულის რეაბილიტაციასა და განვითარებაზე ზრუნვას. ქალაქის ტერიტორიაზე ამ მიზნით შემუშავდა ,,პროკრედიტ ბანკის“ მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის, სანაპირო ზოლის განვითარების, მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის რეკონსტრუქცია–რეაბილიტაციის, ქალაქში ახალი სახელობითი სკვერის კეთილმოწყობისა და მშენებლობის, ,,ანდრია დადიანის მოჭადრაკეთა პარკი'' -ს, ანდრია დადიანის ძეგლის, ქალაქის მოსაცდელების ,,ლიბერთი ბანკის“ უკანა ეზოს კეთილმოწყობის, გამგეობისა და მრავალბინიანი კორპუსების შიდა ეზოს კეთილმოწყობის, თეატრის წინამდებარე პარკის რეკონსტრუქცია–რეაბილიტაციის, ქალაქის მთავარ ქუჩებზე ტროტუარების რეაბილიტაციის და საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო დანიშნულების ნაგებობებზე ასევე ტროტუარებზე პანდუსების მოწყობის, ახალი სტადიონის მშენებლობისა და კომბინატის სარეაბილიტაციო სპორტკომპლექსის ესკიზური პროექტები.

სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშნებელობის ზედამხედველობის ფარგლებში შემუშავდა საკანონმდებლო აქტები. კერძოდ, ,,გარე რეკლამის შესახებ“ დადგენილების პროექტი, ,,გარე რეკლამის გავრცელების გეგმის“ განკარგულების პროექტი, ,,გარე ვაჭრობის შესახებ“ დადგენილების პროექტი, ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცალკეულ ტერიტორიებზე სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი, ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცალკეულ ტერიტორიებზე არაფუნქციონირებადი/მიტოვებული შენობა–ნაგებობის განვითარების მიზნით, მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში აუღებლობისათვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესი“-ს, ,, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების, პირობებისა და პირველ კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრა,

რომელთა განთავსება/ მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვით და მშენებლობის ნებართვის გარეშე“ დადგენილების პროექტები.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ახალ გეგმარებით პროექტებზე, მერიის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ ქალაქის განაშენიანების რეგულირების საკითხების შემუშავებაზე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქალაქმშენებლობის სამსახურები

2015 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გამოყოფილი იყო 7 433 668 ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 516 220 ლარი, ხოლი ადგილობრივი ბიუჯეტით 917 448 ლარი. 2015 წელს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებულია 6 861 466 ლარი (ასათვისებელი, 572 202 ლარი გარდამავალი პროექტების განხორციელების ფარგლებში 2016 წლის თებერვლის ბოლომდე იქნება გახარჯული).

გზის ორმული და მოხრეშვითი სამუშაოები განხორციელდა 30 ქუჩაზე (ორმულად შეკეთდა 20 ქუჩა, მოხრეშვა ჩატარადა 10 ქუჩაზე). განხორციელებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ 133 850 ლარი შეადგინა. 2015 წელს რეაბილიტირებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის ქუჩის ქანობიანი მონაკვეთი, აღნიშნულ ქუცაზე მოწყობილ იქნა რკინა-ბეტონის საფარი. განხორციელებული სამუშაოების ღირებულებამ 111 771 ლარი შეადგინა.

დასრულდა ქალაქის ცენტრალური ტროტუარების რეაბილიტაცია. აღნიშნული რეაბილიტაციის ფარგლებში ქალაქის ცენტრალურ ტროტუარებზე 30 პანდუსი მოეწყო. ქალაქ ზუგდიდის მასშტაბით, 2015 წელს, საერთო ჯამში 45 პანდუსი იქნა მოწყობილი. აღნიშნული სამუშაოებისათვის გაიხარჯა 683 403 ლარი. 2015 წელს დასრულდა არქივის შენობამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. აღნიშნული გზის რეაბილიტაციაში დაიხარჯა 68 530 ლარი.

ქალაქ ზუგდიდში გადაიხურა 24 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. სამუშაოების შესრულებისათვის გაიხარჯა 802 409 ლარი.

ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული 15 საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები. აგრეთვე, მიმდინარეობს დავით აღმაშენებლის ქ №222 - ში მდებარე სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია. აღბნიშნული სამუშაოების განხორციელებისათვის, ცენტრალური ბიუჯეტიდან 325 810 ლარი გაიხარჯება.

ქუჯის ქ №10-ში და ცოტნე დადიანის ქ №2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სამგზავრო ლიფტების რეაბილიტაციამ 8 874 ლარი შეადგინა. სტალინის ქ №7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის 104 937 ლარი გაიხარჯა. მიმდინარეობს მეუნარგიას ქუჩა N6-ში მდებარე „მოსწავლე ახალგაზრდობის

სასახლის“ რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ღირებულებით 1 042 968 ლარი. (დასრულება 2016 წლის მაისში).

დასრულდა ანდრია დადიანის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულებამ 235 533 ლარი შეადგინა.

N15 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში მოეწყო ცენტრალიზებული გათბობის სისტემისათვის საქვაბესა და ბიო მასის დასასაწყობებელი ფართი, საერთო ღირებულებით 19 335 ლარი. რუსთაველის ქუჩაზე მდებარე №10 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნულზე 121 711 ლარი დაიხარჯა. მიმდინარეობს თბილისის ქ №43-ში მდებარე №13 ბაღის სრული რეაბილიტაცია. აგრეთვე, მირცხულავას ქუჩაზე მდებარე №5 ბაღის საძინებელი ოთახის რემონტი. პროექტების ჯამური ღირებულება 142 564 ლარს შეადგენს.

რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 124 568 ლარი.

ინფრასტრუქტურის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქალაქში განხორციელებული გარე განათების პროექტები. 2015 წელს გარე განათება მოეწყო 39 ქუჩაზე. გარე განათების მოწყობის საერთო ღირებულებამ 519 272 ლარი შეადგინა.

ქალაქში სანიაღვრე არხები მოეწყო 19 ქუჩაზე. ამ სამუშაოების შესრულებისათვის გაწეული ხარჯის საერთო ღირებულება 630 910 ლარს აღემატება. აღნიშნულის შედეგად, პრაქტიკულად მოიხსნა, ან მინიმუმამდე დავიდა სტიქიის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული მასშტაბური ზიანის რისკები და საფრთხეები. ამჟამად მიმდინარეობს 6 ქუჩის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, საერთო ღირებულებით 131 557 ლარი.

რუსთაველის ქუჩისა და ზვ. გამსახურდიას გამზირის გადაკვეთაზე მდებარე შადრევნის რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის გაიხარჯა 43 366 ლარი, რამაც მეტად კეთილმოწყობილი გახადა ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

დაიწყო UEFA-ს მესამე კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ 9 747 000 ლარი შეადგინა (გარდამავალი პერიოდი 2016- 2017 წწ).

ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წელს ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო (სანიაღვრე არხების, გარე განათების, ტროტუარების, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, სკვერებისა და ეზოების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, მიწისქვეშა გადასასვლელის, ყინულის სახლის ბოლო ეტაპის, საბავშვო ბაღების, ცენტრალური საფეხბურთო სტადიონისა და მინისპორტული მოედნების, ავტო-სამანქანე გზებისა და შუქნიშნების)დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებამ ჯამში - 352 148 ლარი შეადგინა.

2015 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო არაკომერციული პირების (ააიპ ,,სამხატვრო სკოლა“, ,,ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“ , ,,ააიპ ,,სასაფლაოების მართვის ცენტრი“ , ააიპ ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“) და მერიის

სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის საოფისე ფართები გარემონტდა. ასევე განხორციელდა ააიპ ,,ცენტრალური ბიბლიოთეკის“ ახალგაზრდობისა და ბავშვების საქალაქო ბიბლიოთეკის ფილიალის რეაბილიტაცია. აღნიშნული ობიექტების რეაბილიტაციისათვის, 96 586 ლარი გაიხარჯა.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა 5 ობიექტი, რომელთა პრივატიზაციიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 757 000 ლარი შეადგინა

1. თამარ მეფის ქუჩაზე, 700 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტი 101,000 ლარით შეივსო.
2. ქუჯის ქუჩაზე მდებარე, 517 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში 81,000 ლარი შევიდა.
3. არასასოფლო სამურნეო დანიშნულების 1061 კვ/მ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული 397,69 კვ/მ შენობა-ნაგებობა-კედიას ქუჩაზე 363,000 ლარად იქნა პრივატიზებული (აღნიშნულ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სამსახური ფუნქციონირებდა. გამომდინარე აქედან, პრივატიზაციის სხვა პირობებთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ პირობად ჩადებულ იქნა საგანგებო სიტუაციების სამსახურის ალტერნეტიული ფართის რემონტი, რაც განხორციელდა).
4. ზვიად გამსახურდიას გამზირი №19/ რუსთაველის ქ.№89-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 320 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართი 111, 000 ლარად იქნა პრივატიზებული.
5. ზვიად გამსახურდიას გამზირი №19/ რუსთაველის ქ.№89-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე არსებული 320 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზაციიდან ადგილობრივი ბიუჯეტი 101,000 ლარით შეივსო.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული უძრავი ქონება გაიცა სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით (წლიური საიჯარო საფასური- 90 360 ლარი). აღნიშნული ობიექტებია:

1. ქალაქი ზუგდიდი, გორის ქ №17 (20 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართი). წლიური საიჯარო ღირებულება: 1 200 ლარი.
2. ქალაქი ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. (324 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვთი). წლიური საიჯარო ღირებულება: 1 020 ლარი.
3. ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი №19/ რუსთველის ქ №89 (136,68 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართი). წლიური საიჯარი ღირებულება: 12 000 ლარი.
4. ქალაქი ზუგდიდი, რუსთველის ქუჩა (191,8 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართი- მიწისქვეშა გადასასვლელი). წლიური საიჯარო ღირებულება 52140 ლარი.
5. ქალაქი ზუგდიდი, მარცხენა სანაპიროს ქ.(1693 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი). წლიური საიჯარო ღირებულება 24 000 ლარი.

2015 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 13 არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს უვადო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ხოლო 2 ააიპ-ს, (,,ზუგდიდდასუფთავება“, ,, სასაფლაოების მართვის ცენტრი“) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკა (თითოეულს ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაეცა.

2015 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 32 ერთეული უძრავი ქონება.

2015 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელიდან შემოსული თანხა 434 816,82 ლარს შეადგენს. აქედან, იურიდიული პირების მიერ გადახდილი მოსაკრებლის ოდენობა 255 532, 86 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებისაგან შემოსული მოსაკრებლის ოდენობა 179 285, 06 ლარია. სათამაშო ბიზნესიდან შემოსული თანხა კი 1 058 100 (ერთი მილიონ ორმოცდათვრამეტიათას ასი ლარი) ლარია.

<u>ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდის მიერ, 2015 წელს გაწეული ხარჯები:</u>

- საქართველოს ხელოვნების ქურუმის, წმინდა გიორგის და ღირსების ორდენის კავალერის, ფოლკლორისტისა და ლოტბარის- პოლიკარპე ხუბულავას დაკრძალვის მიზნით, ოჯახისათვის ფინანსური დახმარება (1500ლარი).
- ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ.ზუგდიდი,წერეთელის ქუჩა, მესამე ჩიხი #3) გარემოს დაბინძურების გამო შექმნილი საგანგებო სიტუაციების ნეიტრალიზებისათვის საჭირო თანხის გამოყოფა (9231 ლარი).
- ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 42ჰა ფართობზე ქვეწარმავლების მომრავლების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეების აღმოფხვრა, ქვეწარმავლების წარმოშობის კერების შეწამვლა-დეზინფექციის ჩატარებისათვის საჭირო თნხის გამოყოფა (4872 ლარი).
- ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყოფილი იქკ დასახლების პირველ და მეორე უბნებში მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემის ოპერატიულად გადაწყვეტისათვის საჭირო, ელექტრომძრავის შესყიდვა (6300 ლარი).
- 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიიის შედეგად დაღუპული ზუგდიდელი მარიამ ქუთელიას ოჯახისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (5500 ლარი).
- 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრის, ბადრი ბერანძის აფხაზეთიდან დევნილი ოჯახისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება (1000 ლარი).

- კანის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სოციალურად დაუცველ, უსახლკარო და მინიმალურ საარსებო წყაროს მოკლებულ მოქალაქე ლალი სართანიასთვის, სხივური თერაპიის ჩასატარებლად თანხის გამოყოფა (1070 ლარი).

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სხვა აქტივობები

2015 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები შეუერთდნენ აქციას ,,STOP_C”

2015 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, მერიაში დასაქმებულმა საჯარო მოხელეებმა 7-ჯერ გამართეს საქველმოქმედო აქცია სლოგანით: ,,ქველმოქმედება გადამდებია“ და სოციალურად დაუცველ 12 ოჯახს გადასცეს პირველადი მოხმარების საგნები, ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები. ამავე აქციის ფარგლებში, 2015 წლის 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ხელფასიდან გაღებული თანხით 8 000 ლარის ღირებულების სურსათი და პირველადი მოხმარების საგნები შეიძინეს და ამით 200 ოჯახს დაეხმარნენ, სტიქიის შედეგად დაღუპული მარიამ ქუთელიას ოჯახს კი 700 ლარი გადასცეს. 2015 წლის 31 დეკემბერს, ხელფასიდან გაღებული თანხით შეძენილი საოჯახო ტექნიკა 2 სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახს გადასცეს.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი გარდამავალი პროექტები მიმდინარე ეტაპზეც ხორციელდება და ეტაპობრივად, 2016 და 2017 წლებში დასრულდება.

ირაკლი გოგოხია

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

ზუგდიდი, 2015 წ.